ტყუპი თოვლიის ბრიალი ვარდი

57 193

192

287 1 192

287 1 192

დასკ... ...ებულია 16.01.2025 (13)

13.

„ახალი კოლხეთი", 1971, ნოემბერი, №80

# ზღვის აკვანივით ირწევა ფოთიც!..

(დასასრული)

## დიდი სტუმრობა ფაზისის ქალაქში

ჯერი სტუმრებზეა. ისინი პატივისცემით, სიყვარულით ავლებენ ხალხით სავსე დარბაზს თვალს. ალტაცებით, გულთბილად ლაპარაკობენ ფოთზე, ფოთელებზე, ქალაქის შესანიშნავ ტრადიციებზე, და ერთხმად აღნიშნავენ, რომ საჭიროა კვლავაც განმტკიცდეს და საქმიანი გახდეს ფოთელების კავშირი დედაქალაქში მოღვაწე ფოთელებთან, გამოთქვამენ მრავალ კეთილ სურვილს, რომელიც ჩვენი ქალაქის შემდგომი ზრდისა და გამშვენიერებისაკენ არის მიმართული.

დარბაზმა დიდი ყურადღებით მოისმინა აკადემიკოსების შ. ამირანაშვილისა და ე. ფიფიას, პროფესორების პ. ხუჭუას, კ. ზერაგიას, ი. მეგრელიძის, დოცენტ ნ. ქადეიშვილის, საბჭოთა კავშირის გმირის შ. შურღაიას, რუსთაველი ფოთელების სახელით გამოსულ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროს უფროსის ვ. გახოკიძის, თბილისის 78-ე საშუალო სკოლის დირექტორის შოთა ჭითანავას გამოსვლები. დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა პოეტ ალიო მირცხულავას გამოსვლას, რომელმაც სიტყვის დასასრულს ლექსები წაიკითხა.

სტუმრებმა ძვირფასი სამახსოვრო საჩუქრები დაგვიტოვეს. აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა ფოთელ საზოგადოებას საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სახელით გადასცა გერმანელი მხატვრის ფირწერული ტილო — „პალიასტომი". თბილისში მცხოვრებ და მოღვაწე ფოთელების სახელით შ. ჭითანავამ პიონერთა სახლს უსახსოვრა ფერადი ტელევიზორი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს — კობა გურულის ჭედურობის შესანიშნავი ნიმუში „მედეას დაბრუნება" და გიორგი კარა-მურზას პირადი საჩუქარი — აგრეთვე ჭედურობის ნიმუში. კულტურის სახლს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა აკაკი თოფურიამ საჩუქრად ჩამოუტანა საკუთარ ლექსზე შექმნილი შ. ჯოჯუას „სიმღერა ფოთზე", გიგლა ფირცხალავამ—თავისი ნახატების კრებული.

თბილისში მცხოვრებმა ფოთელებმა თავიანთი ავტოგრაფებით სამახსოვრო ადრესი მიართვეს საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

სტუმარ-მასპინძლები თითქოს ვერ ელეოდნენ ამ შესანიშნავ საზეიმო საღამოს. დიდხანს გაისმოდა ხანგრძლივი ტაში და ოვაციები, რომელიც ჩვენი ქალაქის სასიქადულო შვილებისადმი იყო მიმართული. კრება დახურულად არ გამოუცხადებიათ. დიდი შთაბეჭდილება გაუხუნარი იქნება და იგი შემდგომ შეხვედრებში კიდევ უფრო განმტკიცებას ჰპოვებს.

საბოლოო სიტყვაში საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ა. ლაკიამ აღნიშნა რომ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ჩვენი სამრეწველო ქალაქის წინაშე ახალ საპასუხისმგებლო ამოცანებს სახავს. იგი შეეხება ქალაქის მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა დარგის წინსვლასა და პროგრესს. ფოთელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა სტუმრებს მეტი წარმატებით, მიღწევებით, გამარჯვებებით შეხვდნენ.

საზეიმო კრების შემდეგ სტუმარ-მასპინძლები დაესწრნენ ფოთის საერთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრის წარმოდგენას ლ. სანიკიძის „მედეას". სპექტაკლი მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს. შემდეგ კი მრავალი ფოთელის ოჯახის კარი გულთბილად გაიღო ჩამოსულთათვის.



სურათზე სტუმრების გასეირნება საქართველოს თევზჭერის საოკეანო სამმართველოს ტრაულერ „ქახეთით" შავ ზღვაზე.
ფოტო ბ. გავრილენკოსი.

### დავამშვენოთ და დავიმშვენოთ!

ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც ამ დიდ სტუმრობას თვალს ადევნებდა და ყველა ფოთელივით ხარობდა, თითქოს მოულოდნელადაც კი განაცხადა: არ მეგონა თუ ამდენი სახელმოხვეჭილი ადამიანი გვყავდა ფოთელებს, ახლა მართლაც მეტი გვმართებს, რომ მათ არ ჩამოვრჩეთ, მხარი მივცეთ, ჩვენი ქალაქი დავამშვენოთ და დავიმშვენოთო.

მართლაც, ამ ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა. განსაკუთრებით მოზარდი თაობისათვის, რომელიც ეს-ესაა პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს! ჰოდა, ამ დიდი ღონისძიების შთაბეჭდილების ქვეშ მყოფ ფოთელ ახალგაზრობას ჩვენი დიდი აღმშენებლის ნიკო ნიკოლაძის სიტყვებიც მოვაგონოთ:

ყოველმა თაობამ თავისი რამ უნდა შეიტანოს ახალი, სავარგისი, ერის საერთო სალაროში.

მაშ, დავამშვენოთ და დავიმშვენოთ!

ქ. ესაკია.

## აქ ავიდგი ფეხი

### ალიო მირცხულავა

ჩემი სიყრმის და სიხარულის წლები ფოთში გამიტარებია. აქ დავამთავრე გიმნაზია, აქვე დავიწყე პოეტობა და ჩემმა პირველმა ლექსმა აქაური გაზეთის ფურცლებიდან აისხა ფრთები, 1921 წელს. ბევრი ჩემი სიამე და სიხარულია დაკავშირებული ფოთთან. ასე მგონია თითქოს ორმოცდაათი წლის შემდეგ, ყოველ ჩემს ლექსში გაისმის რიონის ღელვა და შავი ზღვის შფოთი და სუნთქვა. მე მახსოვს მართლაც ჭაობიანი ფოთი. საბჭოთა ადამიანებმა ხმელეთზე ამოიტანეს იგი და კოლხიდის უმშვენიერეს ბაღნარად აქციეს. თვალს ხიბლავს დაახარებს ყოველ ეზოში მტრედებივით ჩაფრენილი სახლები და შენობები. ისევ ის ლამაზი საქალაქო სასწავლებელი და ყოფილი გიმნაზია, სადაც პირველად შევდგი ფეხი და ყველაზე დიდ და ულამაზეს შენობებად მიმოჩანდა ამ პატარა ფოთში; ისევ ის ნიკოლაძის კოშკი, საიდანაც ჩემი ყრმობის წლებსაც ითვლიდა ქალაქის საათი და მისი ნარნარი ხმა უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა მეოცნებე ჭაბუკს. მახსოვს დიდი, დინჯად მოსიარულე ქართველი ბრძენი ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც ხიდი გასდო შავ-ზღვაზე და ძველი კოლხეთი ევროპულ კულტურას აზიარა. მახსოვს ძველი სობორო, რომლის მაღალ საფეხურს ტრიბუნად ვიყენებდით ხოლმე, და მეც ახალი ცხოვრების აგიტაციას ვეწეოდი და ლექსებს ვკითხულობდი. ასეთი იყო ჩვენი ფოთი და მე განუსაზღვრელად მიხარია, რომ იგი ასე გამშვენიერდა, გალამაზდა, განახლდა და, ძველი იერი და ეშხი მაინც შეინარჩუნა. მთელი გულით მივესალმები ჩემს მშობლიურ ფოთს და ვუსურვებ მის მკვიდრ და კეთილ მოსახლეობას მრავალჟამიერ სიცოცხლისა და ბედნიერებას.

### ფოთი

შავი ზღვა, ტალღათ ღელვა და
შფოთი,
ბუხტა, ბოლაზი, გემების ყუდე,
ბაღნარში ყვინთავს ქალაქი
ფოთი,
ჩემი ყრმობის და ლექსების
ბუდე.
მოვალ, ფოთლების მართობს
ალერსი,
ჩემს ნაკვალევში წვიმის
ჭავლია,,
აქ მწვავდა ფიქრი უმხურვალესი,
და ლექსის წერაც აქ მისწავლია.
დღეს კი ჭალარა ცხოვრება ჩემი
ზღვას ერთვის, როგორც რიონის
ტოტი,
თითქოს შორიდან მობრუნდა
გემი —
თითქოსდა ჩემი წარსული
მოდის...
ზღვის აკვანივით ირწევა
ფოთიც!...

ალიო მირცხულავა.

### გულწრფელი და კეთილი სურვილები

ამ შესანიშნავ ღონისძიებაზე თუმცა ორასი სტუმარი გვეწვია, მაინც ბევრმა, ცხადია, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლო მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლა. პარტიის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქალაქო გაზეთ „ახალი კოლხეთის" სახელზე მრავალი დეპეშაა მოსული: გამოჩენილი მეცნიერები რუსუდან ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, გიორგი ჩიტაია, თეოფანე დავითაია, აპოლონ ქუთათელაძე, ვლადიმერ ზამბახიძე, ვლადიმერ ანთაძე, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი გედეონ ხელაია, მწერალი როდიონ ქორქია, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები ნათელა ლაღიძე, ილია ლაღიძე, ნიკანდრო გაბუნია, ვახტანგ ქადეიშვილი, ლევან კიკნაძე, „ფეხბურთის კარუზო" — ბორის პაიჭაძე, ცნობილი ქართველი ვეტერანი ფეხბურთელები გრიგოლ გაგუა, გოგი ანთაძე, ავთანდილ პაიჭაძე მხურვალედ მიესალმნენ ფოთელების ზეიმს, სულითა და გულით ჩვენთან იყვნენ, მრავალი გულწრფელი, კეთილი სურვილი გამოსთქვეს.









ჩვენს ქალაქსაც თავისი წმინდა ალაგები აქვს. იქ მისვლისას მათ მუდამ ეუფლებათ მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობა. ჭეშმარიტად რომ ძნელია აუღელვებლად ჩაუარო გვერდი ელგუჯა ამაშუკელის დიდოსტატურ ნამუშევარს „კოლხ დედას" — ომში დაღუპულ ჩვენს თანამოქალაქეთა დიდების მონუმენტად რომ აღმართულა.

კულტურისა და დასვენების პარკში ღირსშესანიშნავი ძეგლია ქალაქის დიდი მოამაგის, გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის ნიკო ნიკოლაძის ბიუსტი. იმავე პარკშია მგზნებარე ფოთელი ბოლშევიკის გრიგოლ მალანიას საფლავი და ბიუსტი, ხოლო ნინოშვილის უბანში დიდ სამამულო ომში დაღუპულ ძმათა სასაფლაოა.

მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა და მასპინძლებმა თაყვანი სცეს, ცოცხალი ყვავილების გვირგვინი მიიტანეს ამ წმინდა ალაგებზე.

ფოტომონტაჟი ბ. გავრილენკოსი.

# საინტერესო მარშრუტი

ფოთში ჩამოყალიბდა საექსკურსიო ბიურო, რომელიც ემსახურება ქალაქის მშრომელებს საინტერესო ექსკურსიების მოწყობის საქმეში. ამ დღეებში ჩვენი ორგანიზაციის — „საქვაჭრომბმონტაჟის" ფოთის უბნის თანამშრომლებმა მივმართეთ მას და ბიუროს ხელმძღვანელმა თ. ლომინაძემ გვირჩია ასეთი მარშრუტი: ფოთი-გორი-მცხეთა-ორჯონიკიძე.

მარშრუტი მართლაც შესანიშნავი იყო. დავათვალიერეთ გორის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. შემდეგ ვიყავით ყაზბეგში, ვნახეთ ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი. მოგვხიბლა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარმა, ანანურის მონასტერმა და დარიალის ხეობამ. ვიყავით ორჯონიკიძეში, სადაც ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ. დაბრუნებისას ისევ ვეწვიეთ გორს, დავესწარით ადგილობრივ გუნდთან ფოთის ფეხბურთელთა გუნდის თამაშს.

მადლობას ვუხდით მძღოლებს ბ. პატარიძესა და ვ. შილიბს, რომლებიც კეთილსინდისიერად გვემსახურებოდნენ.

**ც. ფურცხვანიძე,**
ექსკურსანტთა ჯგუფის ხელმძღვანელი

---

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

### გაზით სარგებლობის საერთო წესები

**მოქალაქენო!** წესების დაცვით გაზის ხელსაწყოებით სარგებლობა მოხერხებული და უსაფრთხოა. წესების დარღვევამ კი შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევა — აფეთქება, ხანძარი, მხუთავი გაზით მოწამვლა. დაიცავით გაზით სარგებლობის წესები!

ნუ დაუშვებთ გაზის ხელსაწყოებით სარგებლობაზე ბავშვებს და პირებს, რომლებმაც არ იციან ამ ხელსაწყოებით სარგებლობა.

გაზის ხელსაწყოთი სარგებლობის წინ, დარწმუნდით რომ გაზის ხელსაწყოს ყველა ონკანი დაკეტილია.

ნუ გახსნით ხელსაწყოს ონკანს, თუ ხელში ანთებული ასანთი არა გაქვთ.

გაზის წყალგამთბობის სანთურის ანთების წინ და ანთების შემდეგ აუცილებლად შეამოწმეთ კვამლსადენში წევა, თუ არ არის, წყალგამთბობით სარგებლობა არ შეიძლება.

ნუ დატოვებთ ანთებული სანთურით გაზის ხელსაწყოს, ზედამხედველობის გარეშე.

შეინახეთ გაზის ხელსაწყოები სუფთად, სანთურების დანაგვიანებისას გაზი ცუდად ანთია.

გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს გაანიავეთ სათავსო, კარგი ვენტილაცია გაზით უსაფრთხო სარგებლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

სათავსოში ნუ დაკეტავთ ცხაურას ზამთარშიც, ნუ მიაწებებთ სარკმელს ქაღალდებით.

ნუ ისარგებლებთ დასასვენებლად და ძილისათვის სათავსოებით, სადაც დგას გაზის ხელსაწყოები.

**მოქალაქენო!** დაიცავით თხევადი გაზით სარგებლობის წესები. ამ წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევები.

ნუ დააყენებთ ბალონებს გამთბობღუმელებთან და ხელსაწყოებთან.

ბალონების დატოვება ღია ცის ქვეშ აკრძალულია.

ბალონზე უშუალოდ მზის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ბალონის აფეთქება.

ნუ შეინახავთ სარეზერვო ბალონებს საცხოვრებელ სათავსოებში, დერეფნებში და სარდაფებში.

ნუ დატოვებთ ბალონების კარადებს ღიად, ნუ დაუშვებთ ბალონებთან ბავშვებს.

თუ სათავსოში ან ბალონების კარადაში შეამჩნევთ გაზის სუნს, დაუყოვნებლივ ჩაკეტეთ ბალონების ვენტილები, საგაზო ხელსაწყოების ონკანები და გამოუძახეთ გაზის მეურნეობის საავარიო სამსახურს ტელ. № 04 საავარიო სამსახურის წარმომადგენლების მოსვლამდე იმ ადგილებში, სადაც იგრძნობა გაზის სუნი, ნუ მოსწევთ, ნუ ისარგებლებთ ღია ცეცხლით და ელექტროგამომრთველებით. გაძლიერებით გაანიავეთ დაგაზიანებული სათავსო.

საგაზო მოწყობილობის რემონტის და გაზის მოხმარების ყველა საკითხებზე მიმართეთ გაზის მეურნეობას ტელ. № 04 და № 22-09.

საქ. მთავარგაზის № 9 ტრესტის საავარიო სადისპეტჩერო სამსახური მუშაობს 24-საათიანი გრაფიკით. ავარიულ გამოძახებაზე ზეინკალი ვალდებულია გამოცხადდეს გამოძახებიდან 5-10 წუთის შემდეგ, ხოლო პროფილაქტიკურ სამუშაოზე გამოძახება შესრულდება გამოძახებიდან მეორე დღეს.

**საქმთავარგაზის № 9 ტრესტის დირექცია.**

---



**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პირველ კურსზე 1971-1972 სასწავლო წლისათვის.**

**ტექნიკუმი ამზადებს აგრონომებს და ბუღალტრებს, ტექნიკუმს აქვს სამი პროფილი: მეხილეობა მებოსტნეობის სუბტროპიკული კულტურების სპეციალობით, აგრონომიული, საბუღალტრო,**

ტექნიკუმში მიიღებიან 30 წლამდე ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი. განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე, შემსვლელის მიერ შერჩეული სპეციალობის ჩვენებით.

განცხადებას უნდა დაერთოს: ა) მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების ან მე-9, მე-10, მე-11 კლასში გადასვლის შესახებ: ბ) ავტობიოგრაფია, გ) სამედიცინო ცნობა (ფორმა (№ 286) და სამი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ.) და დაბადების მოწმობა, ე) პასპორტი, ზ) სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (წვევამდელთა ასაკის პირები ადგენენ პირადად).

ის პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, არანაკლები ორი წლისა, წარმოადგენენ შრომის წიგნაკის ამონაწერს შემოწმებულს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნენი საკოლმეურნეო შრომის წიგნაკის ამონაწერს შემოწმებულს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ.

**ტექნიკუმში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა-წერა. 2. მათემატიკა-ზეპირი.**

**უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: არასრული საშუალო სკოლის დამთავრების დროს ქებების სიგელით დაჯილდოებულნი (ფრიადოსნები).**

მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ჩარიცხვის დროს უპირატესობით სარგებლობენ: ა) სამრეწველო საწარმოს მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობის ან კოლმეურნეობის მიერ სასწავლებლად წარგზავნილი პირნი, ბ) საბჭოთა არმიის სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ დემობილიზებულები; გ) არა ნაკლები ორი წლის პრაქტიკული სტაჟის მქონე პირები.

განცხადებები მიიღება 1 ივნისიდან 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

შენიშვნა: ტექნიკუმის დამთავრებამდე მოსწავლეებს მიენიჭებათ მძღოლის ან ტრაქტორისტის კვალიფიკაცია.

**ტექნიკუმის მისამართი: ხობის რაიონი, სოფელ ხეთა: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.**

**ტექნიკუმის დირექცია.**

---

☆

## გამოცდაზეა ელექტრომობილი

კალინინგრადში გამოცდას გადიან ელექტრომობილების საცდელი ნიმუშები, რომლებიც შეიქმნა ტრანსპორტის სრულიად საკავშირო საკვლევ ინსტიტუტში. ელექტრომობილების სატვირთო და მსუბუქი ვარიანტები ძირითადად განკუთვნილია მომსახურების სფეროს მუშაკებისათვის. აკუმულატორების ენერგია, რომლითაც ისინი აღჭურვილია, საკმარისია ასი კილომეტრის გასავლელად საათში 40-60 კილომეტრი სიჩქარის დროს.

**სურათზე:** მსუბუქი ელექტრომობილი.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

☆

## ტელევიზია

**სამშაბათი, 6 ივლისი**

17.00 გადაცემათა პროგრამა. 17.05 „ექიმთა დასახმარებლად". 17.50 კინონარკვევი. 18.05 ახალი ამბები. 18.10 განცხადებები.

პროგრამა ბავშვებისათვის:

18.15 „მოსწავლეთა XXVI რესპუბლიკური სპარტაკიადა". 18.45 კონცერტი ქალაქ გორის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა მონაწილეობით. 19.20 კინონარკვევი. 19.30 გადაცემა ახალგაზრდობისათვის „დიდება თავად გიპოვნის". 20.00 „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა. 20.25 პროგრამა მეორე დღისათვის. 20.30 ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: ცსკა — „სპარტაკი" (მოსკოვი). მოსკოვიდან. 22.15 საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „დიდა გათხოვდა".

## დღეს კინოებში

ქალაქის ფართოეკრანიან კინოთეატრ „რუსთაველში" ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული ორსერიიანი ფილმი **„განთავისუფლება"**, მესამე ფილმი **მთავარი დარტყმის მიმართულება**; კინოთეატრ „კომკავშირელში" — **„გაუმარჯოს სიყვარულს"**.

სეანსების დასაწყისი „რუსთაველში" — 3 6 და 9 ს; „კომკავშირელში" — 6 და 9 საათზე.

**რედაქტორი აკ. ტიკარაძე**

---

დედა ლიანა, მამა ბორისი, ბებია შურა, ბიძები: აპოლონ და ავთო კაკულიები, გონერი გამსახურდია, ჟორა პერტაია, ბიცოლა მეგონა, დეიდა ნელი, ბიძაშვილები მანანა, ლალი, ლონდარი, მერაბი, ხვიჩა და ნინო, მამიდაშვილები გოგი, გიგლა, კობა, მარინა, რომეო და მადონა, დეიდაშვილები მადონა, ნანი, მედეა და ნინო იუწყებიან **გია ბორისის-ძე კაკულიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 6 ივლისს, სად. 6 ს. გამოსვენება პუშკინის ქ. 48.

ელიკო და მამია ჩხეიძეები შვილებით მზია და რუსუდანით, სიძით იმედო შუროიათი თანაუგრძნობენ ქეთო, ცუცა, ნინა, იასონ და პლატონ უჩანეიშვილებს ქმრის, მაზლის და ძმის **შურა უჩანეიშვილის** გარდაცვალების გამო.

სერგო გოგიჩაიშვილი და ლეილა ნადარეიშვილი ოჯახებით იუწყებიან ახლო ნათესავის **ალექსანდრე (შურა) სიმონის-ძე უჩანეიშვილის** გარდაცვალებას.

გაერთიანებული სამშობიარო სახლისა და ქალთა კონსულტაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქეთო უჩანეიშვილს მეუღლის **შურას** გარდაცვალების გამო.

შვილები ეკატერინე, ტერენტი, ავეილი, გედევან ქართველიშვილები, ძმა იოსებ თოდუა, შვილიშვილები, ვაჟა, გურამი ოკუჯავები, მურმანი, გულნაზი, ანჟელინა, რუსიკო, ჯუმბერი, ტარიელი, ავთანდილი, ნატო ქართველიშვილები, რძლები მარუშა, ჟუჟუ, ლუბა, ანია, ძმისშვილები ვალიდა, ოულუნი, ექსევი, ლენტრო, ტანია, ედემი, ნიკანდრო, ფაჩა, ტუტუ. სიძე შალიკო ხარებავა ოჯახებით იუწყებიან **აპილო ტოტიას ასულ თოდუა-ქართველიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 11 ივლისს. სად. 6 ს. პანაშვიდი 9 10 ივლისს. სად. 8 ს. გამოსვენება მალანიას ქ. № 184.

საშა ნასარაია ოჯახით თანაუგრძნობს ცუცა, იასონ უჩანეიშვილებს და ვიოლეტა, ჟორა გაბელაიებს ძმისა და მამის **შურას** გარდაცვალების გამო.

ახლო მეზობლები ო. ჩ. ბ. მ. მოწერელიები, შ. შ. ძნელაძეები, ვ. ვ. ყოროზიები, კ. ს. შელიები, ს. ი. კ. რ. მხეიძეები, ბ. მ. მიქავები, ნ. ე. მ. ლ. ჩაჩავები, ე. ნ.თ. პ. შულაიები, ბ. ნ. ჯაიანები, ბ. ხ. მ. ზ. სართანიები, მ. ც. გ. ჯ. სილოგავები იზიარებენ ზინა და ნოკოშა მხეიძეების მწუხარებას დიდის **მარო ადამიას** გარდაცვალების გამო.

რძალი პაშა ჯიბლაძე. შვილებით ვალი, ნორა, ლია, იზო, ნოდარი, ნელი, ნაზი, სიძეებით ჯუნგლი გოჩოლეიშვილები, რეზო მირცხულავა, ადოლი ცომაია შვილებით იუწყებიან მულისა და მამიდის **მარო ჯიბლაძე-თარგამაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 8 ივლისს, ქ. თბილისში, დიღმის მასივი, მესამე კვარტალი, მე-8 კორპუსი, მე-2 შესასვლელი, მე-4 სართული.

უახლოესი მეზობლები თ. ე. ცეეკავაშვილები, ი. გ. კოკაიები, დ. დ. ჯოჯუები, მ. ჩ. გაბისონიები, ჟ. ს. ხურიძეები. ტ. გ. გურგენიძეები, პ. გვაზავა. ლ. ქ. გაგუები, ც. ბ. გუგუშვილები, ვ. ა. ივანიძეები, დ. მატვეევი ოჯახებით იზიარებენ ლიანა და ბორის კაკულიების მწუხარებას შვილის **გიას** გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ლ. ღოღობერიძე, ა. გ. როდონაიები, მ. კაჭარავა, ლ. ა. ჭოჭუები, გ. შ. კიკალეიშვილები. მ. ჟ. ხოშტარიები, მ. გ. თვარაძეები, ნ. გ. კანიშჩევები, ნ. პ. სოლოგუბები, ვ. ო. დოლბაიები ოჯახებით იზიარებენ ლიანა და ბორის კაკულიების მწუხარებას შვილის **გიას** გარდაცვალების გამო.

შვილები პლატონი, თამარ, ბოჩია, ფუშა, კარლო, ბუცა, ნაზი, რძლები ზოია, გოგუცა, აზა, ზინა, სიძეები შალიკო ქადარია და ნოდარ ქაქუჩაია, შვილიშვილები ლიანა, შურიკი, ნოდარ, გოგი, მანანა, სლავა, გია, მარინე, მედეა, ნანი, როზა, ჯიმურა, ჟოგნეტა, ზაზა ოჯახებით, შვილთაშვილები ეკა და ელისო და ახლო ნათესავები იუწყებიან **გიორგი სიკოს ძე ბარქაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთაშაბათს, 8 ივლისს, სოფ. ლეძაძამეში, (ცხაკაიას რ.). გამოსვენება 6 ს.

ლალა და მიტუშა კვიტაიშვილები, თამარ ნორაკიძე, მერი და ლეო სახეიშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნელი და იური წუწუნავებს ძმისშვილის **ნანას** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ფოთის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძი, სოიუზპეჩატის საქალაქო სააგენტო და ტექნიკური უბნის მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ნაზი და ნოდარ ქაქუჩაიებს მამის **გიორგი ბარქაიას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ქეთო, შვილები ვიოლეტა, რეზო, რძალი როზა გოდუაძე, სიძე გიორგი გაბელია, შვილიშვილები ზაზა, ნანა, ქეთინო, ზურაბი, ძმები იასონი და პლატონი, რძლები ცუცა და ნინა შვილებით და შვილიშვილებით, ბიძაშვილი აქსენტი უჩანეიშვილი ოჯახით და უახლოესი ნათესავები იუწყებიან **ალექსანდრე (შურა) სიმონის-ძე უჩანეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 10 ივლისს, ნინოშვილის უბნის სასაფლაოზე. გამოსვენება აკაკის ქ. № 77, 6 ს. პანაშვიდი 8-9 ივლისს, სად. 7 ს.

უახლოესი მეზობლები ვ. ქ. ჯაღაოანიები, ქ. ა. მალანიები, ჟ. ჟ. სირაძეები, თ. ვ. ქავჟარაძეები, რ. ჯაფარიძე, ნ. ლომაია, ხ. ბერაია, ლ. ჯაფარიძე, დ. ა. ცომაიები, ლ. ა. კაჭარავები, გ. ანდღულაძე იზიარებენ უჩანეიშვილების ოჯახის მწუხარებას **შურა უჩანეიშვილის** გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ა. უთმელიძე, ო. ალასანია, კ. ჟვანია, ს. კასრაძე. შ. მილორავა, კ. სიჭინავა, რ. ქოიავა, თ. ხორავა, ა. ფევაძე, კ. არაკიანი, ხ. ქოიავა ოჯახებით იზიარებენ ცუცა და იასონ უჩანეიშვილების ოჯახის მწუხარებას ძმის **შურას** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა ქ. ფოთი ტელმანის ქ. № 8.

«АХАЛИ КОЛХЕТИ» ИНДЕКС 68523.